

თავი I
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12664.8	14027.2	5213.9	8813.3	11197.4	3314.0	7833.4
გადასახადები	586.9	2657.0	0,0	2657.0	2530.0	0,0	2530.0
გრანტები	10890.2	10420.3	5213.9	5206,4	7820.4	3314.0	4506.4
სხვა შემოსავლები	1187.7	949.9	0,0	949.9	847,0	0,0	847,0
ხარჯები	8038.0	7565.3	331.7	7233.6	8226.0	1743.9	6482.1
შრომის ანაზღაურება	1128.6	1204.5	0,0	1204.5	1128.2	0,0	1128.2
საქონელი და მომსახურება	590.2	559.5	0,0	559.5	546.5	0,0	546.5
სუბსიდიები	4059.8	4101.4	0,0	4101.4	3883.6	0,0	3883.6
გრანტები	554.5	612.2	0,0	612.2	65.7	0,0	65.7
სოციალური უზრუნველყოფა	328.0	450.0	0,0	450.0	430.2	0,0	430.2
სხვა ხარჯები	1376.9	637.7	331.7	306.0	2171.8	1743.9	427.9
საოპერაციო სალდო	4626.8	6461.9	4882.2	1579.7	2971.4	1570.1	1401.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4876.0	7736.5	5730.2	2006.3	5123.1	3661.1	1462.0
ზრდა	5014.6	7766.5	5730.2	2036.3	5273.1	3661.1	1612.0
კლება	138.6	30,0	0,0	30,0	150,0	0,0	150,0
მთლიანი სალდო	-249.2	-1274.6	-848.0	-426.6	-2151.7	-2091.0	-60.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-620.5	-1305.7	-848.0	-457.7	-2163.5	-2091.0	-72.5
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	620.5	1305.7	848.0	457.7	2163.5	2091.0	72.5
ვალდებულების ცვლილება	-371.3	-31,1	0,0	-31,1	-11.8	0,0	-11.8
ზრდა	0.0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	371.3	31,1	0,0	31,1	11.8	0,0	11.8
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12803.4	14057.2	5213.9	8843.3	11347.4	3314.0	8033.4
შემოსავლები	12664.8	14027.2	5213.9	8813.3	11197.4	3314.0	7883.4
არაფინანსური აქტივების კლება	138.6	30,0	0,0	30,0	150,0	0,0	150,0
გადასახდელები	13423.9	15362.9	6061.9	9301.0	13510.9	5405.0	8105.9
ხარჯები	8038.0	7565.3	331.7	7233.6	8226.0	1743.9	6482.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	50146.6	7766.5	5730.2	2036.3	5273.1	3661.1	1612.0
ვალდებულებების კლება	371.3	31,1	0,0	31,1	11.8	0,0	11.8
ნაშთის ცვლილება	-620.5	-1305.7	-848.0	-457.7	-2163.5	-2091.0	-72.5

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 11197.4 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12664.8	14027.2	5213.9	8813.3	11197.4	3314.0	7833.4
გადასახადები	586.9	2657.0	0,0	2657.0	2530.0	0,0	2530.0
გრანტები	10890.2	10420.3	5213.9	5206,4	7820.4	3314.0	4506.4
სხვა შემოსავლები	1187.7	949.9	0,0	949.9	847,0	0,0	847,0

მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბიუჯეტის გადასახადები 2530.0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	586.9	1277.0	0,0	1277.0	2530,0	0,0	2530,0
საშემოსავლო გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	950,0	0,0	950,0
ქონების გადასახადი	586.9	1277.0	0,0	1277.0	1580,0	0,0	1580,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბიუჯეტის გრანტები 7820.4 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	10890.2	10420.3	5213.9	5206.4	7820.4	3314.0	4506.4
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10890.2	10420.3	5213.9	5206.4	7820.4	3314.0	4506.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6338.1	5206.4	0,0	5206,4	4506.4	0,0	4506.4
გათანაბრებითი ტრანსფერი	6252.1	5120,4	0,0	5120,4	4370.4	0,0	4370.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	86.0	86,0	0,0	86,0	86,0	0,0	86,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0,0	0,0	0,0	0,0	50,0	0,0	50,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4552.1	5213.9	5213.9	0,0	3314,0	3314,0	0,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 847,0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1187.7	949.9	0,0	949.9	847,0	0,0	847,0
შემოსავლები საკუთრებიდან	625.1	412.6	0,0	412.6	298.8	0,0	298.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	266.9	274,0	0,0	274,0	233.2	0,0	233.2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	260.2	200.0	0,0	200.0	260.0	0,0	260.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	35.5	63.3	0,0	63.3	55,0	0,0	55,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 8226,0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	8038.0	7565.3	331.7	7233.6	8226.0	1743.9	6482,1
შრომის ანაზღაურება	1128.6	1204.5	0,0	1204.5	1128.2	0,0	1128.2
საქონელი და მომსახურება	590.2	559.5	0,0	559.5	546,5	0,0	546,5
სუბსიდიები	4059.8	4101.4	0,0	4101.4	3883,6	0,0	3883,6
გრანტები	554.5	612.2	0,0	612.2	65.7	0,0	65.7
სოციალური უზრუნველყოფა	328.0	450.0	0,0	450.0	430.2	0,0	430.2
სხვა ხარჯები	1376.9	637.7	331.7	306.0	2171,8	1743.9	427,9

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5123,1 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

1. განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5273,1 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 150,0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4876.0	7736.5	5730.2	2006.3	5123,1	3661,1	1462,0
ზრდა	5014.6	7766.5	5730.2	2036.3	5273,1	3661,1	1612,0
კლება	138.6	30,0	0,0	30,0	150,0	0,0	150,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1706.3	1774.6	0,0	1774.6	1537.6	0,0	1537.6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1694.4	1759.7	0,0	1759.7	1527.5	0,0	1527.5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1569.2	1601.7	0,0	1601.7	1367.6	0,0	1367.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	125.2	158,0	0,0	158,0	159.9	0,0	159.9
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	11.9	14.9	0,0	14.9	10.1	0,0	10.1
702	თავდაცვა	61.7	61,8	0,0	61,8	61,8	0,0	61,8
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	191.0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	191.0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5015.8	7838.4	5730.2	2108.2	5539,7	3661,1	1878.6
7045	ტრანსპორტი	1330.6	2979.9	2375.0	604.9	2745,7	1556,3	1189.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1330.6	2979.9	2375.0	604.9	2745,7	1556,3	1189.4

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3685.2	4858.5	3355.2	1503.3	2794.0	2104.8	689.2
705	გარემოს დაცვა	713.6	686.0	0,0	686.0	620.0	0,0	620.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	713.6	686.0	0,0	686.0	620.0	0,0	620.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1461.8	725.0	331.7	393.3	2308,9	1743.9	565,0
7061	ბინათშენებლობა	1117.6	416.2	331.7	84.5	1928.9	1743.9	185.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	344.2	308,8	0,0	308,8	380,0	0,0	380,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	24.2	24,2	0,0	24,2	24.2	0,0	24.2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	24.2	24,2	0,0	24,2	24.2	0,0	24.2
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2557.1	2683.8	0,0	2683.8	1856,2	0,0	1856,2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1059.9	954,8	0,0	954,8	694.3	0,0	694.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1421.3	1674.0	0,0	1674.0	1161,9	0,0	1161,9
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	75.9	55,0	0,0	55,0	0.0	0,0	0.0
709	განათლება	927.2	990,2	0,0	990,2	1018.0	0,0	1018.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	874.0	970.2	0,0	970.2	1000.0	0,0	1000.0
7092	ზოგადი განათლება	10.0	20,0	0,0	20,0	18.0	0,0	18.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	10.0	20,0	0,0	20,0	18.0	0,0	18.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების	43.2	0,0	0,0	0,0	0.0	0,0	0.0

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	სფეროში							
710	სოციალური დაცვა	393.9	547.8	0,0	547.8	532.7	0,0	532.7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	363.8	0,0	363.8	0.0	0.0	0.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.4	0.5	0,0	0.5	1.0	0,0	1.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	0.3	0.9	0,0	0.9	1.5	0,0	1.5
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	21.6	16.9	0,0	16.9	15.4	0,0	15.4
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	277.4	164.7	0.0	164.7	282,0	0.0	282,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალურ სფეროში	94.2	1,0	0.0	1,0	232,8	0.0	232,8
	სულ	13052.6	15331.8	6061.9	9269.9	13499,1	5405,0	8094,1

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 159.9 ათ. ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მერისგადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობასა და მიზნობრიობის შესახებ.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 86.0 ათ. ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 24,2 ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61.8 ათ. ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

13.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

14.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის გზების მნიშვნელოვანი ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსდება გზების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. აგრეთვე, განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის შენარჩუნება.

14.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები.

14.3. დასუფთავების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 02 01)

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

გაგრძელდება ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმა, ქალაქის ქუჩების მორწყვა და მორეცხვა.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „თვითმართვლი ქალაქი-ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის სევის-ცენტრი“.

14.4. ბინათმშენებლობა

(პროგრამული კოდი 03 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმშენებლობის ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების გადახურვა, ფასადების მოწესრიგება, შიდა წყალკანალიზაციის სისტემების შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოები.

14.5. კომუნალური მომსახურების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული გზების, სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, აგრეთვე, წინასწარ გაუთვალისწინებელი ხდომილებებით (მაგ: მავნებლები, მღრღნელები, მცენარეთა დაავადებები და ა.შ.) გამოწვეული ზიანის ან/და მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად საჭირო პრევენციული ღონისძიებები, ასევე, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „თვითმართვლი ქალაქი-ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის სევის-ცენტრი“.

14.6. კეთილმოწყობის სამუშაოები

(პროგრამული კოდი 03 02 04)

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია. ქალაქის მასშტაბით ნაპირდამცავი სამუშაოების, მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (სკვერები, ეზოები, სპორტული მოედნები) მოვლა-შენახვა, ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობა.

მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე, სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

15.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის მიზანია სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა (კვებით, ინფრასტრუქტურით).

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები, ბავშვთა კვება და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

15.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება, თანამონაწილეობა სასწავლო დაწესებულებების მიერ ინიცირებულ შემოქმედებით, სპორტულ, ტექნიკურ, ეკოლოგიურ, ინტელექტუალურ და სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ საგანმანათლებლო-სააღმზრდელი პროგრამების განხორციელებას.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები(პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას.

ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

16.1.სპორტის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება. აგრეთვე, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; ასევე, განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული დამეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზოებში.

16.1.2.სპორტული ობიექტების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.ა.ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი“;
- ა.ა.ი.პ.„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“;
- ა.ა.ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების კავშირი“.

16.2.კულტურის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 02)

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის: ფოლკლორული კოლექტივების, ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, აგრეთვე, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ღონისძიებების ჩატარება, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასთან და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობას მოახერხონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მრავალი მიმართულებით.

16.2.1.კულტურის ღონისძიებების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასთან და მოძრავი გამოფენის

მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

16.2.2. კულტურის ობიექტების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი“;
- ა.(ა).ი.პ., „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“;
- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი“;
- ა.(ა).ი.პ., „მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი“;
- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკი“;
- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართულ-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი-გურია“;
- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა“;
- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრიგოლ კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლა“;
- ა.(ა).ი.პ., „თვითმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი“.

ასევე, პროგრამით დაფინანსდება:

- სსიპ „ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი“.

16.3. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა, სხვადასხვა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის დახმარება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. პრიორიტეტი თვალისწინებს პროგრამებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, მრავალშეიარაღი ოჯახების დაცვა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება, უფასო კვება, კომუნალური სუბსიდირება, ვეტერანთა დახმარება, ლტოლვილთა, ხანდაზმულთა დახმარება.

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც

უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

17.1. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში მოხდება შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარება, უსახლკარო მოქალაქეთა დახმარება, მზრუნველობამოკლებულთა დახმარება უფასო კვებით, კომუნალური სუბსიდირება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

17.1.1. შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04 01)

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარების და მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას, რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 57001-120001-მდე, გაეწევთ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით. აგრეთვე, შეჭირვებულ მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველ ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 150001-მდე ქულით, სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წილობრივი გადასახდელი თანხიდან, გაეწევთ დახმარება:

- ა) 0-დან 500 ლარამდე - 70% დაფინანსებით წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე,
- ბ) 501 ლარიდან - 1500 ლარამდე -- 400 ლარის ოდენობით,
- გ) 1501 ლარიდან ზემოთ - 500 ლარის ოდენობით.

17.1.2. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 0204 02)

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ, ხოლო პერიტონალურ შემთხვევაში (ტრანსპორტირების თანხა ბენეფიციარზე) ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარის ოდენობით.

17.1.3. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 0204 03)

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უსინათლო (მკვეთრად გამოხატული შესამლებლობის სტატუსის მქონე) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით.

17.1.4 . განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04 04)

პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მყოფ განსაკუთრებულ საჭიროების მქონე მოქალაქეებს, რომლებსაც აქვს მინიჭებული I ჯგუფის სტატუსი, გაეწიოს სოციალური დახმარება 200 ლარის ოდენობით.

აგრეთვე, პროგრამა ითვალისწინებს სუბსიდირებას საქველმოქმედო საოციაციო „გურია“-ს დღისცენტრში 18 წელს გადაცილებული ბენეფიციართა მომსახურების დასაფინანსებლად.

მათ შორის:

- ბენეფიციართა ყოველდღიური უზრუნველყოფა 2-ჯერადი კვებით;
- ბენეფიციართა სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, პროფესიული და სხვა ტიპის უნარ-ჩვევების განვითარება;
- სარეაბილიტაციო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ხარჯები;
- კომუნალური მომსახურების ხარჯები.

17.1.5. „C“ ჰეპატიტიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 04 05)

პროგრამის მიზანია „C“ ჰეპატიტიტით დაავადებულ პირებისათვის სამკურნალო ღონისძიების ჩატარებისათვის აუცილებელი დაავადების სტადიის განსაზღვრის გამოკვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ჩართული იქნენ სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამაში. თითო ბენეფიციარისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 330 ლარს, გადახდა განხორციელდება დაავადების სირთულის შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშ-ფაქტურაზე.

17.1.6. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 04 05)

პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეებს დაეხმაროს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, ხელი შეუწყოს ქალების მეტ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ძალადობის მსხვერპლ ქალებს გაეწევა პროფესიული დახმარება გადატანილი ფსიქოლოგიური ტრამვებისა და კრიზისის დაზღვევაში, ჩატარდება სკრინინგ ჯგუფის მიერ გამოკვლევები.

17.1.7. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 15 01)

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეების დახმარება, თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

17.1.8. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 15 02)

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთში, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ოჯახების, რომლებიც ირიცხებიან სოციალურად დაუცველ მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0-დან 100000-ის ჩათვლით, გაეწიოს ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით, მინიმალური საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით.

**17.1.9. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 15 03)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს:

- კომუნალური გადასახადებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დახმარებას. დახმარება გაიცემა ერთჯერადად თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებულ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯების ასანაზღაურებლად, გარდაცვლილის ოჯახს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით;
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების, როგორც დაფინანსება, ასევე თანაგადახდა 300 ლარის ოდენობით ფორმა 100--ისა და ანანგარიშ-ფაქტურისწარმოდგენის საფუძველზე.

**17.1.10. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება
(პროგრამული კოდი 06 02 15 04)**

პროგრამის მიზანია უკიდურესად შეჭირვებული ბენეფიციარების თანადაფინანსება:

- ა) სანიტარულ-ჰიგიენური ხარჯები;
- ბ) კომუნალური ხარჯები;
- გ) კავშირგაბმულობის ხარჯები;
- დ) შენობის დაცვისა და იჯარის ხარჯები;
- ე) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების ხარჯები;
- ვ) საკანცელარიო საქონლისა და საოფისე ინვენტარის შეძენის ხარჯები.

**17.1.11. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 15 05)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების მიზნით მათი ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა.

**17.1.12. ვეტერანთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 0215 06)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა და მათი ოჯახების ფინანსური დახმარება.

- 1941-1945 წწ. 9 მაისს -ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს, მეორე მსოფლიო ომის თითოეულ ვეტერანზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 300 ლარის ოდენობით.
